

**ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტში გასათვალისწინებელი საერთაშორისო -
ფესტივალებისა და სპორტული ღონისძიებების შესარჩევი კონკურსის „თანაბარი
შესაძლებლობები - განვითარების ინიციატივები“
ჩატარების წესისა და პირობების შესახებ**

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

მუხლი 1. ზოგადი დებულებანი

- ეს დებულება განსაზღვრავს ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტში გასათვალისწინებელი საერთაშორისო - ფესტივალებისა და სპორტული ღონისძიებების (შემდეგში - პროექტები) შესარჩევი კონკურსის „თანაბარი შესაძლებლობები - განვითარების ინიციატივები“ (შემდგომში - კონკურსი) ჩატარების წესს, მხარეთა უფლებამოსილებებს, საერთაშორისო - ფესტივალებისა და სპორტული ღონისძიებების ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის პროექტში გათვალისწინების პირობებს.
- კონკურსი ითვალისწინებს ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტში გასათვალისწინებელი თანადაფინანსების მქონე საერთაშორისო - ფესტივალებისა და სპორტული ღონისძიებების შერჩევა - მხარდაჭერას, რომელთა განხორციელება ხელს შეუწყობს ბათუმის, როგორც სპორტული და კულტურული ღონისძიებების მასპინძელი ქალაქის საერთაშორისო ცნობადობის ამაღლებას, პოპულარიზაციას, რეკლამირებას, სპორტის / კულტურის სფეროს განვითარებას ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის პრიორიტეტების შესაბამისად.
- კონკურსის ასიგნებათა ჯამური მოცულობა შეადგენს - 800.0 ათას ლარს. მათ შორის:
 - საერთაშორისო სპორტული ღონისძიებების შესარჩევი კონკურსის ბიუჯეტი შეადგენს - 300.0 ათასი ლარი;
 - საერთაშორისო ფესტივალების შესარჩევი კონკურსის ბიუჯეტი შეადგენს - 500.0 ათასი ლარი.
- პროექტების შერჩევა ხორციელდება კონკურსის წესით, ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის (შემდგომში - მერი) ბრძანებით შექმნილი სამუშაო ჯგუფის (შემდგომში - კომისია) მიერ. ამასთან, კომისიები იქმნება ცალ - ცალკე, სფეროების (სპორტი/კულტურა) მიხედვით, ხოლო განხილვის შედეგები (რეკომენდაციის სახით) წარედგინება მერს, რომელიც დებულობს საბოლოო გადაწყვეტილებას.
- პროექტი უნდა განხორციელდეს (დაწყება - დასრულება) შესაბამისი საბიუჯეტო წლის განმავლობაში და ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე.
- პროექტები, რომლებიც წარმოდგენილია საქართველოს ცენტრალური, ავტონომიური რესპუბლიკებისა და ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოების, აგრეთვე, მათ მიერ შექმნილი/დაფუძნებული იურიდიული პირებისა და ორგანიზაციების მიერ, არ განიხილება.

მუხლი 2. მიზანი

- კონკურსის ძირითადი მიზნებია:
 - ქალაქ ბათუმის, როგორც მაღალი დონის, მიმზიდველი და სანახობითი, სპორტული და კულტურული ღონისძიებების მასპინძელი ქალაქის საერთაშორისო ცნობადობის ამაღლება, პოპულარიზაცია, რეკლამირება;

1.2. იმ საუკეთესო საერთაშორისო სპორტული ღონისძიებების შერჩევა და მხარდაჭერა, რომელთა განხორციელება ხელს შეუწყობს სპორტული ტურიზმის განვითარებას, ვიზიტორთა რაოდენობის გაზრდას, უცხოელი სპორტული დელეგაციების, მედია საშუალებებისა და გულშემოტყვივრების მოზიდვას, სპორტის სხვადასხვა სახეობების განვითარებას, ბათუმელი სპორტსმენების სპორტული ოსტატობის დონის ამაღლებას, ქალაქის სპორტული ღონისძიებების გამრავალფეროვნებას, გააქტიურებას, ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებას, პოპულარიზაციას, რეკლამირებას;

1.3. იმ საუკეთესო საერთაშორისო ფესტივალების შერჩევა და მხარდაჭერა, რომლებიც მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს კულტურული ტურიზმის განვითარებას, ვიზიტორთა რაოდენობის გაზრდას, უცხოელი მაცურებლისა თუ მსმენელის მოზიდვას, ქალაქში კულტურული ცხოვრების გააქტიურებას, ბათუმელი ხელოვანების პროფესიულ ზრდას და შემოქმედებითი ჯგუფების ჩართულობას, მდიდარი კულტურის, მრავალსაუკუნოვანი ეროვნული ღირებულებების, უძველესი ტრადიციებისა და ზოგადსაკაცობრიო მნიშვნელობის თვითმყოფადობის - ქართული ფასეულობებისა და ხელოვნების თანამედროვე მიმართულებების წარმოჩენას, საერთაშორისო აღიარებას.

2. კონკურსის მიზანია თანაბარი შესაძლებლობებისა და კონკურენტული გარემოს/პირობების უზრუნველყოფა, განვითარების ინიციატივების (პროექტების) გამოვლენა - შერჩევა, მათი მხარდაჭერა, ხელშეწყობა.

მუხლი 3. ავტორიზაცია

1. კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლია ნებისმიერ იურიდიულ პირს, გარდა ამ დებულების პირველი მუხლის მე-6 პუნქტში მითითებული პირებისა.

2. აპლიკანტი უფლებამოსილია პროფილის (სპორტი/კულტურა) მიმართულებით, წარადგინოს მხოლოდ ერთი განაცხადი, გარდა იმ იურიდიული პირებისა, რომელთაც წესდებით დაშვებული აქვთ საქმიანობა (სპორტი/კულტურა) სხვადასხვა სახეობების/მიმართულებების მიხედვით.

3. კონკურსში მონაწილეობის მისაღებად აპლიკანტმა ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიაში (შემდგომში - მერია) განცხადებასთან ერთად უნდა წარმოადგინოს შემდეგი დოკუმენტაცია:

3.1. შევსებული განაცხადის ფორმა პროფილის (სპორტი/კულტურა) მიხედვით:

3.1.1. საერთაშორისო სპორტული ღონისძიებების მხარდაჭერა (დანართი 2);

3.1.2. საერთაშორისო ფესტივალების მხარდაჭერა (დანართი 3);

3.2. ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან;

3.3. პორტფოლიო (არსებობის შემთხვევაში - ანალოგიური საერთაშორისო სპორტული/კულტურული ღონისძიების განხორციელების ან/და შემოქმედებითი მოღვაწეობის ამსახველი აუდიო - ვიზუალური მასალა, ხელშეკრულება, მიღება -ჩაბარების აქტი და სხვა);

3.4. თანადაფინანსების ან/და მხარდაჭერის დამადასტურებელი დოკუმენტი;

3.5. საერთაშორისო ფესტივალების / სპორტული ღონისძიების დებულება.

4. აპლიკანტის მიერ წარმოდგენილი ინფორმაცია უნდა შეესაბამებოდეს სინამდვილეს.

5. დოკუმენტები უნდა იყოს წარმოდგენილი ქართულ ენაზე, (ბეჭდური სახით - Microsoft Word Document / Sylfaen), ხოლო უცხო ენაზე წარმოსადგენი დოკუმენტი უნდა იყოს ნათარგმნი ქართულ ენაზე და ნოტარიულად დამოწმებული.

6. აპლიკანტის მიერ წარდგენილი განაცხადის რეგისტრაცია ხორციელდება მერიის ადმინისტრაციის საქმისწარმოების განყოფილებაში (მის: ქ. ბათუმი, ლუკა ასათიანის ქ.N25).

7. მერია უფლებამოსილია საჭიროების შემთხვევაში, მოითხოვოს დამატებითი დოკუმენტაცია.

მუხლი 4. კონკურსის ეტაპები

1. პირველი ეტაპი - დოკუმენტაციის შესწავლა.
2. აპლიკანტის მიერ რეგისტრირებული განაცხადი (თანდართულ დოკუმენტებთან ერთად) ეგზავნება ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახურს (შემდგომში - სამსახური), რომელიც შემდგომი რეაგირების მიზნით, გადაეცემა ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახურის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის პოლიტიკის განყოფილებას (შემდგომში - განყოფილება).
3. განყოფილება:
 - 3.1. უზრუნველყოფს კონკურსანტის მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის დამუშავებას და რეესტრში შეყვანას;
 - 3.2. შეისწავლის განაცხადს და არასრული დოკუმენტაციის წარდგენის შემთხვევაში, აპლიკანტს წერილობით აცნობებს ხარვეზის გამოსწორების თაობაზე. ასევე, განხორციელებს კომუნიკაციას, განაცხადში მითითებული საკომუნიკაციო საშუალების მეშვეობით (სწრაფი რეაგირების მიზნით, ელფოსტით ან/და მობილურ ტელეფონზე SMS შეტყობინების სახით), რათა ოპერატიულად მოახდინოს დოკუმენტაციის მოწესრიგება 5 სამუშაო დღის ვადაში;
 - 3.3. პროექტი, ამ მუხლის 3.2. პუნქტით განსაზღვრულ ვადაში ხარვეზის გამოუსწორებლობის შემთხვევაში - კომისიაზე არ განიხილება;
 - 3.4. თუ დოკუმენტაცია შეესაბამება ამ დებულების მე-3 მუხლითა და მე-5 მუხლის პირველ პუნქტით დადგენილ მოთხოვნებს - ამზადებს მოხსენებით ბარათს (კომისიის თავმჯდომარის სახელზე) კომისიური წესით განხილვაზე წარსადგენად/დასაშვებად და მასალებს წარუდგენს კომისიის წევრებს.
4. მეორე ეტაპი ითვალისწინებს განაცხადების განხილვას კომისიური წესით. მათ შორის კომისიის სხდომაზე, აპლიკანტის მიერ თავისი პროექტის წარდგენას (სასურველია პრეზენტაციის სახით 5წთ. - პროექტის ანოტაცია, მიზნები, მოსალოდნელი შედეგები და ა.შ.).

მუხლი 5. განაცხადების მიღებისა და გადაწყვეტილების მიღების ვადები

1. განაცხადების მიღება იწარმოებს 2019 წლის 23 სექტემბრიდან 01 ნოემბრის ჩათვლით.
2. კომისია შემოსულ განაცხადებს განიხილავს 2019 წლის დეკემბრის თვის პირველი სამუშაო დღის ჩათვლით.
3. მერი, კომისიის რეკომენდაციის წარდგენიდან არაუგვიანეს სამი სამუშაო დღისა, გამოსცემს ბრძანებას კონკურსის შედეგების დამტკიცების - კონკურსში გამარჯვებული პროექტების გამოვლენის, ასიგნებების მოცულობის და ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის პროექტში კონკურსის შედეგად შერჩეული პროექტების გათვალისწინების თაობაზე.
4. შუალედური ინფორმაცია კონკურსის შედეგების - ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის პროექტში შეტანის თაობაზე, აპლიკანტს წერილობით ეცნობება მერის ბრძანების გამოცემიდან სამი სამუშაო დღის განმავლობაში, ხოლო ინფორმაცია დაფინანსების შესახებ - ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შემდეგ, მისი ძალაში შესვლიდან სამი სამუშაო დღის განმავლობაში.

მუხლი 6. კომისიის უფლებამოსილებები

1. კომისია:
 - 1.1. კომისია თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს წინამდებარე დებულებით;
 - 1.2. კომისიის წევრთა რაოდენობა და სიითი შემადგენლობა განისაზღვრება მერის ბრძანებით;
 - 1.3. კომისიის მუშაობას ხელმძღვანელობს კომისიის თავმჯდომარე, ხოლო მისი არყოფ-

ნისას - კომისიის თავმჯდომარის მოადგილე;

- 1.4. კომისია ანგარიშვალდებულია მერის წინაშე;
- 1.5. კომისიის გადაწყვეტილება სარეკომენდაციო ხასიათისაა. საბოლოო გადაწყვეტილებას იღებს მერი;
- 1.6. კომისია ამტკიცებს იმ განაცხადთა სიას, რომლებიც არ შეესაბამება ამ დებულების მე-3 მუხლითა და მე-5 მუხლის პირველ პუნქტით დადგენილ მოთხოვნებს და იღებს გადაწყვეტილებას აპლიკანტის კონკურსიდან მოხსნის თაობაზე;
- 1.7. კომისია განიხილავს განაცხადებს, აკეთებს შეფასებებს, გამოავლენს საუკეთესო პროექტებს კონკურსით გათვალისწინებული ასიგნებების ფარგლებში და მერს წარუდგენს რეკომენდაციას;
- 1.8. საჭიროების შემთხვევაში, დასაშვებია კომისიაზე განხილვის დროს, აპლიკანტთან მოხდეს ხარჯების დაზუსტება (სრულად ან ნაწილობრივ), წარმოდგენილ ხარჯთაღრიცხვასთან მიმართებაში, ხოლო შეფასება განხორციელდება კორექტირებული თანხების გათვალისწინებით, აპლიკანტის წერილის საფუძველზე;
- 1.9. კომისია უფლებამოსილია, თუკი სხდომას ესწრება სრული შემადგენლობის ნახევარზე მეტი მაინც.

2. კომისიის თავმჯდომარე:

- 1.1. წარმართავს კომისიის საერთო ხელმძღვანელობას, ანაწილებს ფუნქციებს და დავალებებს კომისიის წევრთა შორის. ასევე, უზრუნველყოფს სხვა ორგანიზაციული საკითხების გადაწყვეტას;
- 1.2. კომისიის სხდომის ჩატარებიდან არაუგვიანეს 3 სამუშაო დღისა, მერს წარუდგენს მოხსენებით ბარათს ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტში გასათვალისწინებელი საერთაშორისო - ფესტივალებისა და სპორტული ღონისძიებების რეკომენდაციის თაობაზე.

3. კომისიის მდივანი:

- 1.1. ახორციელებს საკონკურსოდ წარმოდგენილი ინფორმაციის შესწავლას, დამუშავებას და წინასწარ შემუშავებულ რეესტრში შეყვანას. ასევე, საოქმო ჩანაწერების უზრუნველყოფას, კომისიის შეხვედრების ორგანიზებას და სხვა ორგანიზაციული საკითხების აღსრულებას;
- 1.2. კომისიის წევრთა მიერ, განხორციელებული შეფასების შედეგად დაგროვილი ქულების დაჯამებით, ახდენს საბოლოო შედეგების გამოვლენას;
- 1.3. აფორმებს კომისიის გადაწყვეტილებას ოქმის სახით, კომისიის სხდომის დასრულებიდან 3 სამუშაო დღის ვადაში.

4. კომისიის წევრი:

- 4.1 გადაწყვეტილებებს იღებს დამოუკიდებლად;
- 4.2 შეისწავლის განაცხადს და ახდენს შეფასებას.

5. კომისიის თითოეული წევრის მიერ განხორციელებული შეფასებები კონფიდენციალურია და განკუთვნილია მხოლოდ სამსახურებრივი მიზნებისათვის;
6. კომისიის მიერ, საკონკურსო განაცხადების განხილვის შემდეგ, სამსახური ამზადებს მერის ბრძანების პროექტს, კონკურსის შედეგების დამტკიცებისა და კონკურსის შედეგად შერჩეული პროექტების ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის პროექტში რეკომენდაციის თაობაზე.

მუხლი 7. შეფასების კრიტერიუმები

1. საკონკურსო განაცხადის შერჩევა ხდება შეფასების კრიტერიუმების გათვალისწინებით.
2. შეფასების კრიტერიუმები განისაზღვრება 0 – 10 ქულის ფარგლებში, შემდეგი კრიტერიუმე-

ბის მიხედვით:

- 1.1. საერთაშორისო სპორტული ღონისძიებების მხარდაჭერა (დანართი 4);
- 1.2. საერთაშორისო ფესტივალების მხარდაჭერა (დანართი 5).

მუხლი 8. გადაწყვეტილების მიღების წესი

1. საბოლოო შედეგები განისაზღვრება კომისიის თითოეული წევრის მიერ განხორციელებული შეფასების შედეგად დაგროვილი ქულების დაჯამებით.
2. რეკომენდაცია გაეწევა იმ აპლიკანტებს, რომლებმაც მიიღეს ყველაზე მაღალი ქულები, კონკურსით გათვალისწინებული ასიგნებების ფარგლებში. ამასთან, თუ საერთო / ჯამური თანხა აღემატება ბიუჯეტით გათვალისწინებულ ასიგნებებს, დასაშვებია აპლიკანტთან მოხდეს დაზუსტება, წარდგენილ ხარჯთაღრიცხვასთან მიმართებაში და საბოლოო შედეგები განისაზღვროს აპლიკანტის წერილობითი მომართვის - კორექტირებული ხარჯთაღრიცხვის საფუძველზე.
3. ქულათა თანაბრად განაწილების შემთხვევაში გამამწყვეტია სხდომის თავმჯდომარის პოზიცია.
4. კომისიის რეკომენდაცია შეფასების საბოლოო შედეგებთან მიმართებაში აისახება სხდომის ოქმში, რომელსაც ხელს აწერს კომისიის თავმჯდომარე, მდივანი, კომისიის ყველა წევრი და წარედგინება მერს.